SAKHNAKHSHIRI | ISSN 2667-9396

ივნისი | 2022

მეშახტე

საქნახშირი
SAKNAKHSHIRI

№18

კომპანიის სიახლეები / ჩვენი თანამშრომლები / ტყიბულის ამბები / იმერეთის სიახლეები / ღონისძიებები

პარლამენტმა საპენსიო ასაკის ცვლილებასთან დაკავშირებული კანონპროექტი დაარეგისტრირა!

გვ.2

მაკა კობახიძე: “მეამაყება, რომ ერთი გუნდის წევრები ვართ!”

გვ.3

ტყიბულის მუნიციპალიტეტის თეატრი გრანპრის მფლობელი გახდა!

გვ.5

„საქნახშირში“ მინი ფეხბურთის შიდა ჩემპიონატი მიმდინარეობს!

გვ.6

პარლამენტმა საპენსიო ასაკის ცვლილებასთან დაკავშირებული კანონპროექტი დაარეგისტრირა!

მეშახტეებისა და მაღაროელების საპენსიო ასაკთან დაკავშირებით კანონში ცვლილებების შეტანაზე საუბარი ჯერ კიდევ 2020 წლის არჩევნების პერიოდში დაიწყო. საუბარია იმაზე, რომ მეშახტეების საპენსიო ასაკი არსებულთან შედარებით 5 წლით შემცირდეს - მამაკაცებისთვის პენსიაზე უფლების წარმოშობის საფუძველი 60 წელი იქნება, ხოლო ქალების შემთხვევაში 55 წელი. აღნიშნული საკითხი მეშახტეებმა ბეჟან წაქაძის საარჩევნო კამპანიის ფარგლებში გამართულ შეხვედრებზე წამოწიეს. მოგვიანებით, ეს თხოვნა საქართველოს პრემიერ-მინისტრის, ირაკლი ღარიბაშვილის „საქნახშირში“ ვიზიტის დროსაც გაჟღერდა. 2020 წლის არჩევნების დასრულებისთანავე, ხელისუფლების მხრიდან მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა - ხანგრძლივი მუშაობის შედეგად, საქართველოს პარლამენტმა საპენსიო ასაკის ცვლილებასთან დაკავშირებით კანონპროექტი დაარეგისტრირა.

ბეჟან წაქაძე (ტყიბულის, თერჯოლის, ზესტაფონისა და ბაღდათის მაჟორიტარი დეპუტატი):

„ზოგადად, სამთო სფერო მძიმე და საფრთხის შემცველ სამუშაოდ ითვლება. სწორედ ამიტომ, „საქნახშირში“ მიმდინარე პროცესებს რეგულარულად და დიდი ყურადღებით ვეცნობი. ვხედავ, რომ შრომის უსაფრთხოებისა და სამუშაო პირობების გაუმჯობესების თვალსაზრისით სიტუაცია დღითი დღე უმჯობესდება. შახტების რეაბილიტაციის პროცესი წინ მიიწევს და მართლაც ბევრი რამ გაკეთდა.

საარჩევნო პერიოდში შახტში გახლდით, მეშახტეებს სამუშაო ადგილზე მივაკითხე და პირადად გავესაუბრე თითოეულ მათგანს. შევპირდი, რომ მათ სამართლიან სურვილს, მეშახტეების საპენსიო ასაკი შემცირებულიყო, განვახორციელებდი და პირველივე დღიდან დავიწყე ამ საკითხზე მუშაობა. პრემიერ-მინისტრი დამპირდა, რომ გვერდში დამიდგებოდა და ამ კანონზე ვიმუშავებდით. ასე რომ, მისმა მხარდაჭერამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა.

მოგეხსენებათ, ყველაფერი ფინანსებთან არის დაკავშირებული და შესაბამისად, სამუშაო პროცესი ძალიან რთული იყო. კანონპროექტში ყველაფერი დეტალურად უნდა ჩამოაყალიბო, დაასაბუთო. აღწერო რას როგორ გეგმავ და მიუთითო, თუ როგორ შეიძლება საჭირო თანხების მოძიება. უნდა გაითვალისწინო მსოფლიო პრაქტიკაც (ჩვენ სწორედ მსოფლიო პრაქტიკაზე დაყრდნობით შევქმენით ეს კანონპროექტი).

ძალიან მიხარია და მეამაყება, რომ საბოლოოდ, კანონპროექტი დარეგისტრირდა. ზოგადად, კანონპროექტის დარეგისტრირების პროცესი ასეთია: მას წარადგენს დეპუტატი, შემდეგ გადის იურიდიულ დეპარტამენტში. თუ იურიდიული დეპარტამენტი დაეთანხმება რომ ეს კანონპროექტი კანონად იქცეცს, გადადის საპარლამენტო ბიუროზე და პარლამენტის თავმჯდომარე ამტკიცებს კოლეგებთან ერთად (ბიუროს ყველა წევრმა უნდა დაუჭიროს მხარი). მათ, რა თქმა უნდა, მხარი დაუჭირეს ჩვენს კანონპროექტს და კომიტეტებზე მოსასმენად გადაიგზავნა. სექტემბრიდან, საშემოდგომო სესიების დაწყებისთანავე, ჩვენი კანონპროექტის კომიტეტებზე განხილვაც დაიწყება. ძირითადად 4 კომიტეტზეა საუბარი: ჯანდაცვის, დარგობრივი ეკონომიკის, საფინანსო და ადამიანის უფლებების დაცვის კომიტეტზე. კომიტეტებზეც და პლენარულ სხდომაზეც კანონპროექტი სამი მოსმენით უნდა გავიდეს.

ძირითადი პროცესი, რაც ჩემზე იყო დამოკიდებული გავიარეთ - კანონპროექტი დარეგისტრირდა და ბიურომ დაამტკიცა. მზად ვარ, გადაწყვეტილების მიმღებ ყველა დაინტერესებულ პირს გავუძღვე შახტში და ადგილზე ვანახო მეშახტეების შრომა. თუმცა, დარწმუნებული ვარ, რომ ჩემიკოლეგები მხარს დაგვიჭერენ და 2023 წლიდან ეს კანონი უკვე ამოქმედდება. აქვე, მადლობა მინდა ვუთხრა საქართველოს პრემიერ-მინისტრს, ირაკლი ღარიბაშვილს თანადგომისთვის და მხარდაჭერისთვის.“

N4 ნახშირმომპოვებელი უბნის თანამშრომლები ანაზღაურების ახალ სისტემას აფასებენ

გასულ თვეს, ანაზღაურების ახალი სისტემა სამთვიანი სატესტო რეჟიმით ამოქმედდა და პირველ ეტაპზე, მხოლოდ N4 ნახშირმომპოვებელ უბანს შეეხო. ის ფაქტი, რომ მნიშვნელოვნად მოიმატა დასაქმებულების ანაზღაურებამ, გაიზარდა მათი მოტივაცია და ამასთან ერთად, ქვანახშირის მოპოვება, ახალი სისტემის ეფექტიანობაზე მეტყველებს.

ოლეგ დარბაიძე: *“როგორც ხელმძღვანელი, ერთ-ერთი ინიციატორი ვიყავი, რომ N4 ნახშირმომპოვებელი უბანი ანაზღაურების ახალ სისტემაზე გადასულიყო. ეს არის ძალიან კარგი შესაძლებლობა, დასაქმებულებმაც და დამსაქმებლებმაც ნათლად დაინახონ რას აკეთებენ და რას იღებენ. ადრე, ჩვენი ანაზღაურება მოპოვებული ნახშირის რაოდენობით განისაზღვრებოდა. ახლა კი, ახალი სისტემის მიხედვით, ყველა სამუშაო განფასებულია (იქნება ეს გვირაბის გაყვანა, მოსამზადებელი სამუშაოები, სარემონტო სამუშაოები, მოპოვება თუ სხვა). თვის ბოლოს ვაკეთებთ ანალიზს - რა რაოდენობის ნახშირი მოვიპოვეთ, ამისათვის რა სახის და რა მოცულობის სამუშაოების ჩატარება დაგვჭრდა. შემდეგ, სამუშაო დღეებისა და კოეფიციენტების მიხედვით ვანაწილებთ სახელფასო ფონდს, რაც ბევრად სამართლიანი და გამჭვირვალეა.*

ამჟამად, N4 ნახშირმომპოვებელ უბანში 80 ადამიანია დასაქმებული. ყველა ანაზღაურების ახალი სისტემით ვსარგებლობთ. ჩვენი თანამშრომლები თავადვე აღნიშნავენ, რომ უფრო გაუადვილდათ ამ პრინციპით მუშაობა. მეც, როგორც ხელმძღვანელი ვხედავ, რომ თანამშრომლების მოტივაცია გაზრდილია. დასაქმებულები თავად ითხოვენ, რომ ყველაფერი მოწესრიგებული იყოს და არაფერმა ხელი არ შეუშალოს. ამან დადებითი გავლენა იქონია მოპოვების მოცულობის გაზრდაზე. ხაზი მინდა გავუსვა, რომ ეს ყველაფერი შრომის უსაფრთხოების წესების გაძლიერებული დაცვით ხდება. ჩვენ მივყვებით წესებს, აფეთქებისას გამოვდივართ უსაფრთხო ადგილზე და არასდროს ვუშვებთ გამონაკლისს.

თანამშრომლებს შორის მოტივაციის ამაღლებამ პირდაპირი გავლენა იქონია ნახშირის მოპოვებაზე და რაც ყველაზე მთავარია, მნიშვნელოვნად გაიზარდა დასაქმებულების ანაზღაურება. კიდევ ერთხელ აღვნიშნავ, რომ ანაზღაურების ახალ სისტემაზე სატესტო რეჟიმში გადასვლამ გაამართლა - ხელმძღვანელობაც და დასაქმებულებიც ვიღებთ იმ შედეგს, რისი მოლოდინიც გვქონდა.“

გიორგი ბახუტაშვილი (მეშახტე): *„ძალიან მომწონს ახალი სახელფასო სისტემა, ხელფასი მეტი ავიღე და ძალიან კმაყოფილი ვარ. უფრო მოტივირებული გავხდი, ვიცი, რომ შემიძლია მეტი ვიმუშავო და გაცილებით მეტი ანაზღაურება მივიღო, ვიდრე ადრე. ეს ჩემი ოჯახისთვის მნიშვნელოვანი შემოსავალია.“*

ხვიჩა ბოჭორიშვილი (მეშახტე): *„ძველ სახელფასო სისტემას ახალი სჯობს. რა თქმა უნდა, ხელფასი უფრო მეტია. მეშახტეებიც უფრო ორგანიზებულები და მოტივირებულები არიან. იმ სამუშაოთვის, რასაც ადრე ვასრულებდით, ახლა 300, 400, 500 ლარით მეტ ხელფასს ვიღებთ. ამჟამად ეს თითოეული ჩვენგანისთვის ძალიან მნიშვნელოვანია.“*

ჯემალ და გულჩინა ბოცვაძეები - დამსახურებული მეშახტეები და ქორეოგრაფები

ტყიბულელმა ქორეოგრაფებმა, ჯემალ და გულჩინა ბოცვაძეებმა ცხოვრება საყვარელ საქმიანობას მიუძღვნეს და დაახლოებით 50 წელზე მეტია, წლების წინ არჩეულ გზას მიჰყვებიან. მშობლიური ქალაქი მრავალჯერ ასახელეს როგორც ქვეყანაში, ისე მის ფარგლებს გარეთ გამართულ საერთაშორისო ფესტივალებზე. ქორეოგრაფიაში შეტანილი წვლილისა და ახალგაზრდა თაობის აღზრდისათვის წლების მანძილზე ბევრი სიგელი და დიპლომი აქვთ მიღებული. ცეკვის პარალელურად, წლების მანძილზე სამთო დარგშიც აგრძელებდნენ მოღვაწეობას და დამსახურებული მეშახტის წოდებაც მიიღეს.

81 წლის ჯემალ ბოცვაძე და 76 წლის გულჩინა ქარქაშაძე-ბოცვაძე დღემდე შემართებით აგრძელებენ ტყიბულში ანსამბლ „ოკრიბას“ ხელმძღვანელობას და ახალგაზრდა თაობის აღზრდას.

ჯემალ ბოცვაძის მამა რკინიგზელი იყო, ამიტომ საცხოვრებელი ადგილის შეცვლა ხშირად უწევდა. სკოლა ჩაქვში დაამთავრა და შემდეგ რიგაში, სამხედრო სავალდებულო სამსახურში წავიდა. პარალელურად სამხედრო ანსაბლში ცეკვავდა.

ჯარიდან პირდაპირ მშობლიურ ქალაქს, ტყიბულს დაუბრუნდა. სწავლა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამთო ფაკულტეტზე დაიწყო. პარალელურად, „ორჯონიკიძის“ სახელობის შახტზე მუშაობდა ზეინკლად. ინსტიტუტის დასრულების შემდეგ ჯერ შახტის ბურღვა-ფეთქითი სამუშაოების უბნის უფროსი იყო, შემდეგ ვენტილაციისა და უსაფრთხოების უბნის უფროსი, სმენის ინჟინერი, მთავარი ინჟინრის მოადგილე და დირექტორის მოადგილე წარმოების დარგში.

ჯემალ ბოცვაძე: „სამთო სფეროში 25 წელი ვიმუშავე. მთელი ამ დროის განმავლობაში უსაფრთხოდ, წესების დაცვით მუშაობისთვის ოქროს, ვერცხლის და ბრინჯაოს მედლები და სიგელები მაქვს მიღებული, ვარ დამსახურებული სამთო ინჟინერი. ცეკვას რაც შეეხება, სკოლის ასაკიდან დავიწყე, ვცეკვავდი ჩაქვის კულტურის სახლის ქორეოგრაფიულ ანსამბლში, ბათუმის რკინიგზელთა და ახლაგზარდულ ანსამბლში, ტყიბულის მეშახტეთა ანსამბლში. შახტში ვმუშაობდი და თან შახტის ახალგაზრდულ ანსამბლს ვხელმძღვანელობდი. ჩვენს ანსამბლს მაშინდელი საბჭოთა კავშირის თითქმის ყველა ქვეყნის ქალაქების დიდ თეატრებში აქვს გამართული კონცერტი, რაც ყოვლთვის დიდი ოვაციებით სრულდებოდა. გარდა ამისა, ვცეკვავდით ევროპის ქვეყნებშიც. ვარ საქართველოს დამსახურებული ქორეოგრაფი პედაგოგი, ღირსების ამაგდარი, ბრწყინვალების და რაინდის ორდენოსანი.

ოჯახი 26 წლის ასაკში შევქმენი. ჩემი მომავალი მეუღელე, გულჩინა ქარქაშაძე კინოთეატრში გავიცანი, შეგვიყვარდა ერთმანთი და დავქორწინდით. გვყავს 2 შვილი, 2 შვილიშვილი (1 გარდაცვლილი) და 3 შვილთაშვილი.

1995 წელს მე და ჩემმა მეუღლემ ტყიბულში ქორეოგრაფიული ანსამბლი „ოკრიბა“ დავაარსეთ, რომელიც დღემდე წარმატებულია და მრავალფეროვანი რეპეტუარით გამოირჩევა. არის სახვადახვა პრიზის და ჯილდოს მფლობელი. ანსამბლში არაერთი ახალგაზრდა თაობა აღიზარდა და დღეს წარმატებული ქორეოგრაფები არიან, ბევრი ჩვენი მოსწავლე დღეს ცნობილ ანსაბლებში ცეკვავს.“

გულჩინა ქარქაშაძე-ბოცვაძე: “ტყიბულში დავიბადე და გავიზარდე. შემდეგ თბილისის 71-ე სკოლაში ვსწავლობდი. საქართველოს პოლიტექნიკური ინტიტუტი სამთო სპეციალობით დავამთავრე და მშობლიურ ტყიბულში დავბრუნდი.

20 წლის ვიყავი სამუშაოდ შახტში რომ მივედი და 27 წელი ვიმუშავე. ჯერ „ორჯონიკიძის“ სახელობის შახტის სამარქშეიდერო განყოფილებაში, ტექნიკ-მხაზველის პოზიციაზე ვიყავი დასაქმებული. ასევე, ჩამაბარეს სამთო ბიბლიოთეკაც. ტექნიკური განყოფილების შემდეგ დისპეჩერად ვმუშაობდი. ჩვენ, ორმა მეშეხტემ შევქმენით ოჯახი. ცეკვა მეუღლემ მასწავლა და ერთად გავაკეთეთ ქორეოგრაფიული ანსამბლი“ ოკრიბა.“ ცხოვრების რთულ გზაზე ერთად ბევრი წარმატება მოვიპოვეთ. წლების მანძილზე ბევრი კარგი თაობა აღვზარდეთ ტყიბულში და ისევ დიდხანს ვაპირებთ საქმიანობის გაგრძელებას. მადლობა ყველას, ვინც ჩვენს შრომას და ღვაწლს აფასებს, მადლობა ანსამბლის ყოფილ და ახლანდელ წევრებს დაუღალავი შრომისთვის და თავდადებისთვის. ამის დამსახურებაა, რომ ანსამბლს სახალხო ანსამბლის წოდება მიენიჭა.“

მაკა კობახიძე: “მეამაყება, რომ ერთი გუნდის წევრები ვართ!”

„საქნახშირსა“ და მის თანამშრომლებს შორის შრომითი ურთიერთობების მართვას ადამიანური რესურსების განყოფილება უზრუნველყოფს. გუნდი, რომელიც უკვე წლებია ამ საქმეს უძღვება, კოორდინაციას უწევს კომპანიის ადმინისტრაციულ ფუნქციებს და უზრუნველყოფს გამართული კომუნიკაციის ჩამოყალიბებას, რაც, საბოლოოდ, კომპანიის საერთო პროდუქტიულობასა და შედეგებზე აისახება.

ადამიანური რესურსების განყოფილებას მაკა კობახიძე უკვე 8 წელია ხელმძღვანელობს. განყოფილების სხვა თანამშრომლებთან - ნინო სოფრომაძესთან, ლალი ფორჩხიძესთან და ნინო გლოველთან ერთად, მას უამრავ გამოწვევასთან გამკლავება უწევს. ყოველდღიურად, 1300-მდე დასაქმებულისთვის საჭირო ინფორმაციის დროულად მიწოდება, მათი დახმარება და მიმდინარე საქმეების მართვა ამ განყოფილების მთავარი ფუნქციაა.

მაკა კობახიძემ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი ბიზნეს ადმინისტრირებისა და მენეჯმენტის მიმართულებით დაამთავრა. რამდენიმე მსხვილ კომპანიაში სტაჟირების გავლის შემდეგ ტყიბულს დაუბრუნდა. ჯერ ბანკში, შემდეგ კი ,,საქნახშირში“ დაიწყო მუშაობა.

მაკა კობახიძე: “საქნახშირში“ 2014 წელს, გენერალური დირექტორის თანაშემწის პოზიციაზე მოვედი სამუშაოდ. ამ ადგილზე მუშაობით ძალიან მნიშვნელოვანი გამოცდილება მივიღე, გამეგო კომპანიის არსი და მისწრაფებები. გარდა ამისა, ვმუშაობდი სხვადასხვა პოზიციებზეც. 2018 წლიდან დღემდე კი ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი ვარ. ჩვენს განყოფილებას ყოველდღიური საქმიანი კავშირი აქვს ყველა დასაქმებულთან. მე და ჩემი თანამშრომლები შეთანხმებულად და ყოველთვის გუნდურად ვმუშაობთ. ვცდილობთ, ხარისხიანად ვაკეთოთ საქმე, არავინ დარჩეს უკმაყოფილო და ყველამ მიიღოს ამომწურავი ინფორმაცია მათთვის მნიშვნელოვან ყველა თემაზე. ასევე, მუდმივ კავშირზე ვართ კომპნანიის ხელმძღვანელობასთან. ვიტყოდი, რომ ჩვენი განყოფილება არის შუამავალი დასაქმებულებსა და ხელმძღვანელობას შორის.

უკვე რვა წელია დღის მნიშვნელოვან ნაწილს ამ სამსახურში ვატარებ, ჩემს საყვარელ ადამიანებთან ერთად. კომპანიის არსი და მიზანი დიდად მნიშვნელოვანია ჩვენი რეგიონისთვის და ქალაქისთვის, ამ კომპანიაზეა დამოკიდებული ტყიბულის განვითარება. სწორედ „საქნახშირია“ რეგიონის განვითარებისა და ხალხის კეთილდღეობის გარანტი. ჩემთვის ტყიბული და „საქნახშირი“ განუყოფელი ნაწილია, ისინი ერთმანეთს ავსებენ. ვერ წარმომიდგენია მათი ცალ-ცალკე არსებობა. პირადად ვიცნობ თითოეულ მეშახტეს, ისინი ძალიან ძვირფასი და პატივსაცემი ადამიანები არიან, მათ შრომაზეა დამოკიდებული რეგიონის განვითარება. მინდა მათ უსაფრთხო შრომა, ჯანმრთელობა, მხნეობა ვუსურვო. მეამაყება, რომ ერთი გუნდის წევრები ვართ და იმედი მაქვს, კიდევ მრავალი წელი შევძლებთ რეგიონისთვის სასიკეთო საქმეების განხორციელებას.“

"ვეფხისტყაოსნის" საჯაროდ კითხვის დღე ტყიბულის მუნიციპალურ თეატრში

ემოციებით დატვირთულ საღამოში, ,,ვეფხისტყაოსნის" ზეპირად მცოდნე ორი ტყიბულელი ქალბატონი, ანრო ცირეკიძე და ნათელა დოღონაძე მონაწილეობდნენ. მათ პოემიდან საყვარელი ეპიზოდები და შემთხვევით შერჩეული თავები ზეპირად წაიკითხეს.

"ვეფხისტყაოსნის" ზეპირად ცოდნის ტრადიციის გაგრძელებისა და კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნების საქმეში შეტანილი წვლილისათვის, ანრო ცირეკიძე და ნათელა დოღონაძე ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერმა, დავით ჩერქეზიშვილმა ფულადი საჩუქრით, 1000-1000 ლარით დააჯილდოვა.

დამატებით 1000-1000 ლარით ქალბატონები აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტისგან დაჯილდოვდნენ, მათ ფულადი საჩუქრები უნივერსიტეტის წარმომადგენელმა, მარიამ ლიკლიკაძემ გადასცა.

აღსანიშნავია, რომ გერმანული ენის ფილოლოგი, დამსახურებული პედაგოგი, ტყიბულის საპატიო მოქალაქე ანრო ცირეკიძე „ვეფხისტყაოსნის" ზეპირად მცოდნეთა კონკურსებში ექვსგზის გამარჯვებულია, ხოლო ნათელა დოღონაძე სამცხე-ჯავახეთში გამართული „ვეფხისტყაოსნის" კონკურსის III საპატიო ადგილის მფლობელი. მან პოემა მეუღლის დახმარებით 60 წლის ასაკში ისწავლა. გარდა ამისა, ტყიბულის მერის გადაწყვეტილებით, მსოფლიო ლიტერატურის შედევრის ,,ვეფხისტყაოსნის" ზეპირად კითხვის ტრადიციის გაგრძელების მიზნით, იმ პირებისთვის, ვინც პოემას ზეპირად ისწავლის 2000 ლარიანი პრიზი დაწესდა.

ღონისძიებას იმერეთში სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე ლევან კიკნაველიძე, ტყიბულის მაჟორიტარი დეპუტატი ბეჟან წაქაძე, საკრებულოს თავმჯდომარე იოსებ რობაქიძე, პროფესორი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი სერგო ვარდოსანიძე, საქართველოს რუსთაველის საზოგადოების ქუთაისის ორგანიზაციის თავმჯდომარე მერაბ კვიცარიძე, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები და სხვა მოწვეული სტუმრები ესწრებოდნენ.

ინტელექტის ოლიმპიადაში 400-მდე მოსწავლემ მიიღო მონაწილეობა!

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის (EEU) დაფინანსებითა და კინგსთან პარტნიორობით, იმერეთის რეგიონის მასშტაბით, მე-10, მე-11, მე-12 კლასელებისთვის ინტელექტის ოლიმპიადა ჩატარდა, სადაც გამარჯვებულები გამოვლინდნენ.

დაჯილდოების ცერემონიალს იმერეთში სახელმწიფო რწმუნებული, ზვიად შალამბერიძე, ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერი, დავით ჩერქეზიშვილი და ქუთაისის მერი, იოსებ ხახალეიშვილი დაესწრნენ.

ინტელექტის ოლიმპიადაში 7 მუნიციპალიტეტიდან 400-მდე მოსწავლე მონაწილეობდა, მათგან ფინალურ ეტაპზე 3 გამარჯვებული გამოვლინდა. იმერეთის ინტელექტის ოლიმპიადის გამარჯვებული გახდა - ბექა ბარათაშვილი, ჭიათურის 1-ელი საჯარო სკოლის მოსწავლე. გამარჯვებულ მოსწავლეებს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტისგან სპეციალური პრიზები და დიპლომები გადაეცათ.

ტყიბულის მუნიციპალიტეტის მასშტაბით, ინტელექტის ოლიმპიადის გამარჯვებულ მოსწავლეებს კი, მუნიციპალიტეტის მერიამ დამატებითი პრიზები დაუწესა. დავით ჩერქეზიშვილმა, I, II და III ადგილებზე გასულ მოსწავლეებს: ნიკოლოზ ოდიკაძეს, მარიამ ჩიხრაძეს და თათია გაბუნიას შესაბამის სიგელებთან ერთად ფულადი ჯილდო გადასცა.

აღნიშნული ოლიმპიადის მთავარი მიზანია, აბიტურიენტებს დაეხმაროს საკუთარი ინტელექტუალური უნარ-ჩვევების გაზომვაში, ასევე მოახდინოს ნიჭიერი მოსწავლეების მხარდაჭერა და მათი წახალისება.

ტყიბულში "გალფ ექსპრესის" ავტოგასამართი სადგური გაიხსნა



ბიზნესსექტორის კიდევ ერთი სიახლე ტყიბულში - ამჯერად ქალაქში "გალფ ექსპრესის" ავტოგასამართი სადგური გაიხსნა, რომელსაც ადგილობრივი ხელისუფლებისა და კომპანია ,,გალფის" წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

"გალფ ექსპრესი" გალფის ბრენდის ქვეშ არსებული ავტომატიზირებული, თვითმომსახურების სადგურების ქსელია, სადაც მომხმარებელს შესაძლებლობა აქვს 24 საათიან რეჟიმში, თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით მიიღოს მაღალი ხარისხის მომსახურება, ისარგებლოს ექსპრეს სერვისებით და ქსელში მოქმედი პრომო აქციებით.

ავტოგასამართ სადგურზე თანამედროვე ტიპის სწრაფი კვების სივრცეც ფუნქციობს, რომელიც მომხმარებლებს ყოველდღიურად მოემსახურება.

სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებები ტყიბულის მუნიციპალიტეტში

ტყიბულის მუნიციპალიტეტში უხვმა ნალექმა პრობლემები შექმნა. სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებები მყისიერად დაიწყო და მასში, შესაბამის სამსახურებთან ერთად, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები ჩაერთნენ.

ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერი, დავით ჩერქეზიშვილი არსებულ ვითარებას ადგილზე გაეცნო. ის სოფელ კურსებშიც იმყოფებოდა, სადაც კალაპოტიდან გადმოსულმა წყალმა იქ არსებული ქვის საწარმოს მიმდებარე ტერიტორია დატბორა. საწარმოში ოთხი ადამიანი იმყოფებოდა, ყველა მათგანი მაშველებმა უსაფრთხო ადგილას უვნებლად გამოიყვანეს.

ძლიერი წვიმის შედეგად ქალაქის შემოსასვლელში დაიტბორა ცენტრალური ქუჩა, ასევე ეზოები და სარდაფები, ხოლო ტყიბული-ორპირის საავტომობილო გზის მონაკვეთზე, სოფელ ჭყეპში ხეები წაიქცა, რამაც მოძრაობის შეფერხება გამოიწვია. სპეციალური ტექნიკით ადგილზე დაუყოვნებლივ იქნა მობილიზებული ტყიბულის მუნიციპალიტეტის კომუნალური გაერთიანება, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური, ჩატარდა გაწმენდითი სამუშაოები და ოპერატიულად მოხდა მოძრაობის აღდგენა.

სტიქიამ მუნიციპალიტეტში სხვა პრობლემებიც შექმნა. დაზიანდა შიდა სასოფლო გზები, ბოგირები, სახიდე გადასასვლელები, დაიტბორა რამდენიმე საცხოვრებელი სახლის პირველი სართული და მიწის ნაკვეთები. რამდენიმე ლოკაციაზე მუნიციპალიტეტის მერი პირადად იმყოფებოდა, მან დაზარალებულო ოჯახები მოინახულა და მათ საჭირო დახმარება შესთავაზა.

მუნიციპალიტეტისთვის მიყენებულ ზარალს სპეციალური კომისია სწავლობს. შექმნილია სტიქიის შედეგებზე რეაგირების შტაბი და მიმდინარეობს მიყენებული ზარალის დეტალური აღრიცხვა.

დასაქმების ფორუმი აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში

ქუთაისში დასაქმების ფორუმი გაიმართა, სადაც სამუშაოს მაძიებელებს შესაძლებლობა ჰქონდათ შეხვედროდნენ 50-მდე პოტენციურ დამსაქმებლს, ესაუბრათ სასურველი ვაკანსიების შესახებ და წარმოეჩინათ საკუთარი უნარები პირისპირ კომუნიკაციის გზით.

იმერეთში სახელმწიფო რწმუნებულმა, ზვიად შალამბერიძემ სიტყვით გამოსვლისას აღნიშნა, რომ დაინტერესებული პირებისთვის ფორუმი საუკეთესო საშუალებაა, რადგან მათ დასაქმების რეალური შანსი ეძლევათ. ასევე, ისაუბრა სოციალურად დაუცველი პირების დასაქმების მასშტაბურ პროგრამაზე, რომელიც სოციალური შემწეობის მიმღები, შრომისუნარიანი პირების დასაქმებას ისახავს მიზნად.

ღონისძიების პირველი ნაწილის მიზანი იყო იმერეთის რეგიონის ადმინისტრაციულ ერთეულზე ოპერირებულ დამსაქმებლებთან სააგენტოს საქმიანობის შესახებ ცნობადობის ამაღლება, შრომის ბაზარზე არსებული გამოწვევების, სექტორთა შორის თანამშრომლობის როლის და დასაქმების შესაძლებლობების გაზრდა და გაუმჯობესება საქართველოს რეგიონებში. ხოლო მეორე ნაწილის მიზანს იმერეთის რეგიონში მცხოვრები სამუშაოს მაძიებლების დასაქმებისა და სტაჟირების ხელშეწყობა წარმოადგენდა.

ტყიბულის მუნიციპალიტეტის თეატრი „თეატრალური იმერეთი 2022“-ის გრანპრის მფლობელი გახდა!

ერთმოქმედებიანი პიესა „ქალაქი“ საერთაშორისო ფესტივალის გრანპრის მფლობელიგახდა. ახალგაზრდა რეჟისორმა, ქეთევან სამხარაძემ პიესა გურამ დოჩანაშვილის შემოქმედების მიხედვით დადგა.

ფესტივალის საზეიმო დახურვას იმერეთში სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე ლევან კიკნაველიძე მუნიციპალიტეტების მერებთან ერთად დაესწრო. ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის პროფესიულ დრამატულ თეატრში გამართულ ღონისძიებაზე სხვადასხვა ნომინაციაში გამარჯვებულები გამოვლინდნენ. სპექტაკლები და მსახიობები პროფესიულმა ჟიურიმ შეაფასა.

ფესტივალის ფარგლებში მოქმედი პროფესიული თუ სახალხო თეატრების მიერ წარმოდგენილი იყო 17 სპექტაკლი. წელს, ფესტივალზე რეგიონის თეატრალური დასების მიერ წარმოდგენილი იყო განსხვავებული ჟანრისა და შინაარსის სპექტაკლები. ასევე, მაყურებელმა ნახა ყაზახეთის თეატრისა და თბილისის ახალგაზრდული თეატრის წარმოდგენები.

პროექტს უკვე მეცამეტე წელია იმერეთში სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია და იმერეთის თეატრალური საზოგადოება ერთობლივად ახორციელებს. ასევე, ფესტივალის მხარდამჭერია რეგიონის 12-ვე მუნიციპალიტეტი და საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო.

ქუთაისს 10 ახალი M2 კატეგორიის მიკროავტობუსი დაემატა

ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიამ, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან ერთად, 10 ახალი მიკროავტობუსი წარადგინა.

,,იმერეთში და კერძოდ ქუთაისში, საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროექტის ფარგლებში, კიდევ ერთი ძალიან საინტერესო პროექტი განხორციელდა. ევროკავშირის დაფინანსებით ქუთაისმ 10 ახალი მიკროავტობუსი მიიღო, რომელიც ქალაქს მოემსახურება და გასულ წელს შემოყვანილ 60 ავტობუსთან ერთად მთლიანად მოხდება სატრანსპორტო მიმართულების ათვისება. ასევე, მინდა დავამატო, რომ წელს, იმერეთის რეგიონში, ამ პროექტის ფარგლებში ხორციელდება 69 მილიონი ლარის სამუშაოები, რომელიც, რა თქმა უნდა, წლის ბოლოსთვის დასრულდება და ბევრ ასეთ საინტერესო პროექტს მიიღებს ჩვენი რეგიონი“ - განაცხადა ზვიად შალამბერიძემ.

მიკროავტობუსები იმოძრავებენ ქუთაისის რთული რელიეფის მქონე ქუჩებში (გორა, სადგურ რიონის დასახლება, საფიჩხია, გუმათი, ზ. გამსახურდიას ქუჩა, ავტოქარხნის მარჯვენა დასახლება), განსაზღვრული სვლა - გეზებით.

მიკროავტობუსები შეძენილი იქნა ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით, საქართველოს საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში, რომელთა ჯამური ღირებულებაა 1 449 380 ლარი.

ქუთაისის სატრანსპორტო კომპანიის მფლობელობაში უკვე არის 60 „ევრო 5“-ის ტიპის ავტობუსი, რომელთა შეძენა მუნიციპალიტეტისთვის საქალაქო ტრანსპორტის განვითარების პროგრამის ფარგლებში, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) ფინანსური მხარდაჭერით განხორციელდა.

მუნიციპალური ტრანსპორტი ადაპტირებულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის. გარდა ამისა, ყველა ავტობუსში დამონტაჟებულია გადახდის აპარატი. ასევე, სატრანსპორტო პოლიტიკის ფარგლებში იგეგმება გაჩერებებზე დამონტაჟდეს 109 ერთეული საინფორმაციო ტაბლო.

მუნიციპალურ ტრანსპორტში უფასო და შეღავათიანი მგზავრობის უფლებით სარგებლობს 30 000 მოქალაქე. ახალი თანამედროვე სტანდარტების ავტობუსებისა და მიკროავტობუსების შეძენით ქალაქმა განავითარა მუნიციპალური ტრანსპორტის სექტორი, ხოლო მოსახლეობა სარგებლობს თანამდეროვე, კომფორტული და რაც მთავარია, გარემოსთვის უვნებელი ავტობუსებით.

სახელმწიფო პროგრამა „ქართული ჩაი“ - 6 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივს თანამედროვე ტექნიკა გადაეცა

პროგრამის „ქართული ჩაი“ ფარგლებში, იმერეთისა და გურიის რეგიონში მოქმედ 6 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივს ჩაის წარმოებისათვის საჭირო დანადგარები, ჩაის საღნობი, საგრეხი როლერი და საშრობი კარადა გადასცეს, სახელმწიფო თანადაფინანსება 329,460 ლარია.

პროგრამის ფარგლებში, ჩაის წარმოებისთვის საჭირო 643 000 ღირებულების დანადგარები, ჯამში 14 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივს გადაეცა.

სახელმწიფო პროგრამის „ქართული ჩაი” ფარგლებში აღნიშნულმა ბენეფიციარებმა სახელმწიფოს ფინანსური მხარდაჭერით, 210 ჰა-ზე იჯარით და საკუთრებაში არსებული ჩაის პლანტაციების რეაბილიტაცია მოახდინეს, რისთვისაც სახელმწიფოსგან, თანადაფინანსების სახით 375 000 ლარზე მეტი მიიღეს.

საქართველოს მასშტაბით, პროგრამაში „ქართული ჩაი“ 53 ბენეფიციარია ჩართული. სარეაბილიტაციო პლანტაციების ჯამური ფართობი 1,670 ჰექტარს შეადგენს, ჯამური ინვესტიცია 4,862,629 ლარია, საიდანაც 3,383,081 ლარი სახელმწიფო თანადაფინანსებაა.

პროგრამა „ქართული ჩაი“ 2016 წლიდან ხორციელდება და მისი მიზანია საქართველოში არსებული ჩაის პლანტაციების პოტენციალის ეფექტიანი გამოყენება, ადგილობრივი ჩაის (მათ შორის, ბიოჩაის) წარმოების ზრდის ხელშეწყობა, თვითუზრუნველყოფის დონის ამაღლება და საექსპორტო პოტენციალის გაზრდა.

„საქნახშირში“ მინი ფეხბურთის შიდა ჩემპიონატი მიმდინარეობს!

„საქნახშირის“ მეშახტეებს შორის ფეხბურთის შიდა ჩემპიონატი დაიწყო, რომელშიც 10 საფეხბურთო გუნდი და 120-მდე მეშახტე იღებს მონაწილეობას.

შეჯიბრი გუნდებს შორის სპეციალურად შედგენილი განრიგის მიხედვით, ქალაქის ცენტრში მდებარე მინი სტადიონზე იმართება. მონაწილეობენ ცენტრალური გამამდიდრებელი ფაბრიკის, საშახტო აწევის, მზადების უბნის, ადმინისტრაციის, გზის მოხელეების, მოძრაობის უბნის, „ძიძიგურის შახტის,“ ასევე, პირველი, მეორე და მეექვსე მომპოვებელი უბნების თანამშრომლები.

ფინალური მატჩი 27 აგვისტოს გაიმართება. გამოვლინდება პირველ, მეორე და მესამე ადგილზე გასული გუნდები, ასევე, დასახელდება საუკეთესო მოთამაშე და საუკეთესო მეკარე. გამარჯვებულებს „საქნახშირი“ სპეციალურ პრიზებს გადასცემს.

თოჯინების თეატრის სპექტაკლი პატარებისთვის

28 ივნისს, ტყიბულის მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლეში, თოჯინების თეატრის წარმოდგენა მოეწყო. „კატა წკიპიტო და გულადი თაგუნა“ - ასე ერქვა სპექტაკლს, რომელიც ტყიბულის მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის ორგანიზებით, სპეციალურად მეშახტეების შვილებისთვის გაიმართა.

ტყიბულში ახალი კვების ობიექტი გაიხსნა

ტყიბულის ცენტრში, ყოფილი სასტუმროს შენობაში, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი კვების ობიექტი გაიხსნა. სასადილო მომხმარებელს სთავაზობს როგორც ქართულ, ისე უკრაინულ კერძებს და უგემრიელეს საკონდიტრო ნაწარმს. კვების ობიექტზე ამჟამად 20 ადგილობრივია დასაქმებული.

ჩვენი მეშახტეები ტყიბულის ჭადრაკის ტურნირის გამარჯვებულები არიან!

მოყვარულ მოჭადრაკეთა შორის ჩემპიონატი ორი დღის განმავლობაში, შვეიცარული მეთოდით მიმდინარეობდა. ღონისძიება ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით, სპორტული ცენტრისა და ტყიბულის ჭადრაკის ფედერაციის ორგანიზებით გაიმართა. მასში სხვადასხვა ორგანიზაციის სამ-სამი მოთამაშით დაკომპლექტებული 13 გუნდი ასპარეზობდა.

,,საქნახშირის“ გუნდები ჩემპიონატის გამარჯვებულები და მეორე საპრიზო ადგილის მფლობელები გახდნენ. მესამე ადგილი კულტურის ობიექტების გაერთიანების წარმომადგენლებმა მოიპოვეს.

გამარჯვებულები ტყიბულის ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტმა, ,,საქნახშირის'' დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარემ, მიხაილ სოცკიმ და მუნიციპალიტეტის მერმა, დავით ჩერქეზიშვილმა დააჯილდოვეს.

მედლებთან და დიპლომებთან ერთად, სამივე გუნდის თითოეულმა წევრმა ფულადი პრიზი მიიღო.

ჩემპიონატს მუნიციპალური თეატრის ვერცხლის დარბაზმა უმასპინძლა.

მეშახტეებს შორის ნარდის ყოველწლიური ჩემპიონატი გაიმართა!

25 ივნისს, „საქნახშირის“ ორგანიზებით ნარდის ჩემპიონატი გაიმართა. შეჯიბრში 62 მეშახტე იღებდა მონაწილეობას. გამარჯვებულები „საქნახშირის“ დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარემ, მიხაილ სოცკიმ სამახსოვრო სიგელებითა და ფულადი პრიზებით დააჯილდოვა.

I ადგილი გაგა ისაკაძემ დაიკავა

II ადგილზე ლაშა დეისაძე გავიდა

III ადგილის მფლობელი კი მანუჩარ სახელაშვილი გახდა

ტყიბულის კუნგ-ფუს სკოლა - ადგილი, სადაც ჩემპიონები იზრდებიან!

კუნგ-ფუს სკოლა ტყიბულში 30 წელზე მეტია წარმატებით ფუნქციობს და ხელს უწყობს ახალგაზრდა თაობაში ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციას. სპორტსმენების აღზრდაზე საქართველოს კუნგ-ფუს ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი და ტყიბულის კუნგ-ფუს სკოლის ხელმძღვანელი, ოლეგ ფანჩულიძე ზრუნავს. ბატონი ოლეგი თავადაც არაერთი საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებულია და მომავალი ჩემპიონების აღსაზრდელად ძალ-ღონეს არ იშურებს.

ოლეგ ფანჩულიძე: „კუნგ-ფუს სკოლა ტყიბულში 1989 წელს, გელა გიორგაძემ დააარსა. მისი დაღუპვის შემდეგ სკოლას მე ვხელმძღვანელობ. არაერთ ტურნირში მივიღეთ მონაწილეობა, როგორც საქართველოში, ისე მის საზღვრებს გარეთ და უმეტესად გამარჯვებულები ვბრუნდებით. ჩვენი სკოლა ჩვიდმეტჯერ გახდა საქართველოს ჩემპიონი გუნდურ ჩათვლაში, თოთხმეტჯერ კი საქართველოს თასის მფლობელი. ჩვენი სპორტსმენებიდან 2 მსოფლიო ჩემპიონია, 21 კი ევრაზიის ჩემპიონი.

ჩვენთან აქტიურად ვარჯიშობენ გოგონებიც. ბავშვები იღებენ ტურნირებში მონაწილეობის გამოცდილებას და ყალიბდებიან ღირსეულ ადამიანებად.

არ შემიძლია არ აღვნიშნო „საქნახშირის“ დიდი წვლილი ჩვენი სკოლის არსებობაში. უდიდესი მხარდაჭერა გვაქვს ამ კომპანიის ხელმძღვანელობის მხრიდან. ეს სპორტული დარბაზი „საქნახშირს“ ეკუთვნის. ის, რომ გვაქს საშუალება ასეთ კარგ პირობებში ვივარჯიშოთ, სწორედ ამ კომპანიის დამსახურებაა. „საქნახშირისა“ და „ტყიბულის მუნიციპალიტეტის სპორტული ცენტრის“ თანადგომით მჯერა, რომ უფრო დიდ წარმატებას მივაღწევთ. გარდა ამისა, აღსანიშნავი და დასაფასებელია კომპანიის როლი რეგიონის განვითარებაში - მუნიციპალიტეტში ძირითადი დასაქმების ადგილი „საქნახშირია,“ ის ზრუნავს ტყიბულის განვითარებაზე და მოსახლეობის კეთილდეობაზე.“

ჩვენ ერთად ვქმნით უსაფრთხო სამუშაო გარემოს

“ მუშაობის დაწყებამდე შეამოწმე სამუშაო ადგილი და დარწმუნდი, რომ შენი სამუშაო გარემო უსაფრთხოა.

ეს თითოეული ჩვენგანის პრიორიტეეტი უნდა იყოს და უნდა გვახსოვდეს, რომ ოჯახში გველოდებიან!

”

ზურა გიორგაძე

საშახტო ტრანსპორტის უბნის მიწისქვეშა ელმავლის მემანქანე

საქნახშირი
SAKNAKHSHIRI

მეშახტე
ივნისი |2022| №18

სარედაქციო საბჭო:
გვანცა დელიბაშვილი, გიორგი სულაძე, გაგა ისაკაძე, ირაკლი კირკიტაძე, ონისე საპანაძე, ბექა ამოთია, კახა ჩიქობავა, ხვიჩა გაბუნია.

მისამართი: ტყიბული, თაბუკაშვილის 13

კორპორატიული გამოცემა

www.facebook.com/saknakhshiri